

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26  
2020 წლის 18 დეკემბერი

ქ. ჭიათურა

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის №31 დადგენილებაში (სსმ, 26/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.129.016340) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების I-III თავები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>22134.312</b>	<b>27706,745</b>	<b>18319,299</b>	<b>9387,446</b>	<b>26921.174</b>	<b>21114.727</b>	<b>5806.447</b>
გადასახადები	2813.598	9694,100	9694,100	0,00	10596.100	10596.100	
გრანტები	10681.546	9387,446		9387,446	5806.447	0.00	5806.447
სხვა შემოსავლები	8639.168	8625,199	0,00	8625,199	10518.627	10518.627	0.0
<b>II. ხარჯები</b>	<b>10682.433</b>	<b>17309,742</b>	<b>15111,685</b>	<b>2198,057</b>	<b>14929.091</b>	<b>14682.124</b>	<b>246.967</b>
შრომის ანაზღაურება	2138.885	2245,500	2155,500	90,000	2146.700	2046.700	100.0
საქონელი და მომსახურება	684.629	2279,531	1269,270	1010,261	1549.683	1512.716	36.967
პროცენტი	70.795	38,458	38,458		0.0	0.0	



სუბსიდიები	6505.830	7809,945	7709,945	100,000	8689.000	8589.000	100,000
გრანტები	50,551	41,0	41,0		50.000	50,000	
სოციალური უზრუნველყოფა	951.940	1509,330	1490,739	18,591	1891.000	1881.000	10,0
სხვა ხარჯები	279.803	3385,978	2406,773	979,205	602.708	602.708	
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>11451.879</b>	<b>10397,003</b>	<b>3207,614</b>	<b>7189,389</b>	<b>11992.083</b>	<b>6432.603</b>	<b>5559.480</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>5855.296</b>	<b>20564,448</b>	<b>10894,920</b>	<b>9669,528</b>	<b>15216.316</b>	<b>9656.836</b>	<b>5559.480</b>
ზრდა	5886.498	20586,448	10916,920	9669,528	15583.816	10024.336	5559.480
კლება	31.202	22,000	22,000		253.000	253.000	0.0
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>5596.583</b>	<b>-10167,445</b>	<b>-7725,698</b>	<b>-2480,139</b>	<b>-3224.233</b>	<b>-3224.233</b>	<b>0.0</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>5596.583</b>	<b>- 10205,837</b>	<b>- 7725,698</b>	<b>- 2480,139</b>	<b>-3301.017</b>	<b>-3301.017</b>	<b>0.0</b>
ზრდა	5596.583						
ვალუტა და დეპოზიტები	5596.583						
კლება	0.0	10205,837	7725,698	2480,139	3301.017	3301.017	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	10205,837	7725,698	2480,139	3301.017	3301.017	0.0
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>0.0</b>				<b>-76,784</b>	<b>-76,784</b>	
კლება	0.0				76,784	76,784	
საშინაო	0.0				76,784	76,784	
სესხები	0.0				0	0	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0						
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>		<b>0,0</b>	<b>0,0</b>	

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	22165.514	27728.745	18341.299	9387.446	27174.174	21367.727	5806.447
შემოსავლები	22134.312	27706.745	18319.299	9387.446	26921.174	21114.727	5806.447
არაფინანსური აქტივების კლება	31.202	22.000	22.000	0.00	253.000	253.000	0.00



გადასახდელები	16568.931	37934.582	26066.997	11867.585	30475.191	24668.744	5806.447
ხარჯები	10682.433	17309.742	15111.685	2198.057	14929.091	14682.124	246.967
არაფინანსური აქტივების ზრდა	5886.498	20586.448	10916.920	9669.528	15469.316	9909.836	5559.480
ვალდებულებების კლება	0.0	38.400	38.400	0.00	76,784	76,784	0.00
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>5596.583</b>	<b>10205.837</b>	<b>7725.698</b>	<b>2480.139</b>	<b>3301.017</b>	<b>3301.017</b>	<b>0.0</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს **26921.174** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსავლები</b>	<b>22134.312</b>	<b>27706.745</b>	<b>18319.299</b>	<b>9387.446</b>	<b>26921.174</b>	<b>21114.727</b>	<b>5806.447</b>
გადასახადები	2813.598	9694.100	9694.100	0.0	<b>10596.100</b>	<b>10596.100</b>	0.00
გრანტები	10681.550	9387.446	0.00	9387.446	<b>5806.447</b>	0.0	<b>5806.447</b>
სხვა შემოსავლები	8639.168	8625.199	8625.199	0.0	<b>10518.627</b>	<b>10518.627</b>	0.00

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს **10596.100** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>გადასახადები</b>	<b>2813.598</b>	<b>9694.100</b>	<b>9694.100</b>	<b>0.00</b>	<b>10596.100</b>	<b>10596.100</b>	<b>0.0</b>
საშემოსავლო გადასახადი	609.293	0.00	0.00	0.00	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	7494.100	7494.100	0.0	7996.100	7996.100	0.0
ქონების გადასახადი	2204.305	2200.000	2200.000	0.0	2600,0	2600,0	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1051.790	995.000	995.000	0.0	1275.0	1275.0	0.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.000	0.000	0.0	0,0	0,0	0.0



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	13.580	5.000	5.000	0.0	10.0	10.0	0.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	62.890	20.000	20.000	0.0	65	65	0.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1076.040	1180.000	1180.000	0.0	1250.0	1250.0	0.0

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 5806.447 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>10681.550</b>	<b>9387.446</b>	5806.447
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	10681.550	9387.446	0,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5415.300	0.00	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	232.0	2043.261	262.274
კაპიტალური ტრანსფერი	5034.246	6349.185	4720.466
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	0.0	995.000	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	0.0	995.000	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	0.0	0.0	823.707

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 10518.627 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>8639.170</b>	<b>8625,199</b>	<b>10518.627</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	6959.730	5820,449	8028.617
პროცენტი	442.110	288,5	230.0
რენტა	6517.620	5531,949	7798.617
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1293.820	2030,000	2080.400
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1293.820	2030,000	2080.400



სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,800	0,00	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	7.10	5,000	35.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1274,670	2000,000	2000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	11.240	25,000	25.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0,00	20.4
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	184.080	160,000	255.400
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	201.540	614,750	154.208

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 14929.091 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>10682,433</b>	<b>17309,742</b>	<b>15111,685</b>	<b>2198,057</b>	<b>14929.091</b>	<b>14682.124</b>	<b>246.967</b>
შრომის ანაზღაურება	2138,885	2245,500	2155,500	90,000	2146.700	2046.700	100
საქონელი და მომსახურება	684,629	2279,531	1269,270	1010,261	1549.683	1512.716	36.967
პროცენტები	70,8	38,5	38,5	0.0	0.0	0.0	0,0
სუბსიდიები	6505,830	7809,945	7709,945	100,000	8689.000	8589.000	100,000
გრანტები	50.600	65.196	65.196	0	50.000	50.000	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	951,940	1509,330	1490,739	18,591	1891.000	1891.000	0,0
სხვა ხარჯები	279,803	3385,978	2406,773	979,205	602.708	602.708	0.0

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 15216.316 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 15469.316 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 253.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	70,609	692,603	32.000
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	70,609	692,603	32.000



<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>5402,304</b>	<b>17983,615</b>	<b>13954.359</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4400,659	15418,171	11747.393
02 01 02	გზების მშენებლობა, კაპიტალური რეაბილიტაცია	4287.566	14366.0	10266.788
02 01 04	ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა, მშენებლობა	0,0	15,0	55.017
02 01 05	საყრდენი კედლების აღდგენა, მშენებლობა	113.093	132.900	572.041
02 01 06	ფეხით მოსიარულეთათვის გადასავლელების, კიბეების, მოედნების მოწყობა	0.0	158.500	853.547
02 02	წყლის სისტემების განვითარება	200.805	684.480	246.255
02 03	გარე განათება	79,580	8,000	377.520
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება			0.0
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	357,614	2427,080	123.0
02.07	კეთილმოწყობის ღონისძიებები	295,350	1938,650	1458.191
02 08	სასაფლაოების რეაბილიტაცია	0,0	0,0	2.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	29,956	122,7	0,0
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>217,620</b>	<b>500,500</b>	<b>60.892</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,5	520,500	0.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0,0	0,0	54.0
03 04	სანიადვრე არხების რეაბილიტაცია	0,0	0,00	6.892
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>72,034</b>	<b>617,332</b>	<b>1326.336</b>
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	49,699	918.530	1288.352
04 03	ზოგადი განათლება, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	0,0	860,0	37.984
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>409,347</b>	<b>699,820</b>	<b>95.729</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	165,758	433,500	76,429
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	243,589	266,320	19.3
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>0,0</b>	<b>92,600</b>	<b>0,0</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	92,600	0.0
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>6171,914</b>	<b>20586,470</b>	<b>15469.316</b>

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა



არაფინანსური აქტივების კლება	31,2	321,5	253.0
მირითადი აქტივები	6,560	20,0	249.0
არაწარმოებული აქტივები	24,650	301,5	4.0
მიწა	24,650	301,5	4.0

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>3014,7</b>	<b>4198,359</b>	<b>3862.600</b>
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3012,4	4089,226	3182.205
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3012,4	4076,360	3182.205
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	51,253	117.000
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1,0	44,746	220,695
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1,3	26,0	342.7
<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>4595.7</b>	<b>15788.171</b>	<b>12279.893</b>
7.4.5	ტრანსპორტი	4482.6	14655,259	10799.288
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	42877,6	14405,259	11652.835
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	195	250,0	0,000
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	113,1	1163,912	627.058
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>1399.0</b>	<b>1600</b>	<b>1402.892</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1399.0	1600,0	1402.892
<b>7.6</b>	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>901,830</b>	<b>5216,702</b>	<b>3187.719</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	357.6	2427,077	307.753
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7.6.3	წყალმომარაგება	170,849	561,778	754.255
7.6.4	გარე განათება	79.6	8	665.520
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	295.4	2219,847	1460.191



77	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>155.5</b>	<b>274,578</b>	<b>179.955</b>
774	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	114.5	132,5	140,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	41,0	<b>142,078</b>	39.955
78	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>3225,5</b>	<b>4085,065</b>	<b>3454.229</b>
781	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1245,0	1762,264	1379.429
782	მომსახურება კულტურის სფეროში	1793,0	2064,801	1844.8
784	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	147,3	180,0	210.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	40,2	78,0	20.000
79	<b>განათლება</b>	<b>2282,5</b>	<b>5188,598</b>	<b>4224.903</b>
791	სკოლამდელი აღზრდა	2275,5	3298,532	4168.352
792	ზოგადი განათლება	7,0	0,0	56.551
7922	საბაზო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო და ზოგადი განათლება	0.0	1890,066	0.0
710	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>994,4</b>	<b>1583,104</b>	<b>1883.0</b>
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	447,7	867,163	421,000
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	360,2	625,263	581,200
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	87,5	241,9	234,000
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	33,6	16,5	14,5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	272,0	376,45	38,000
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	120,9	161,8	186,300
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	120,2	161,191	408.0
	<b>სულ</b>	<b>16568,930</b>	<b>37934,577</b>	<b>30475.191</b>

## მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3224.233 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 12106.583 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	11451,879	10397,003	11992.083
მთლიანი სალდო	5596,583	-10167,445	-3224.233





## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -3301.017 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	5596,583	-10205,837	-3301.017
ზრდა	5596,583	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	0.0	0.0
კლება	0,0	10205,837	3301.017
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	10205,837	3301.017

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 76.784 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 460.708 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

### თავი II

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

## მუხლი 13.

ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვ დარგების განვითარების.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01		11747.393



პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალი/მეორე ხარისხის საავტომობილო გზების, სასოფლო და შიდაკვარტალური გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის აუცილებლობა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე შეადგენს 420 კილომეტრს ასფალტო/ბეტონის საფარით დღეის მდგომარეობით დაფარულია 160 კილომეტრი. მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 30 პროცენტის მშენებლობა-რეაბილიტაციას.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, კაპიტალური რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 02		10266.788

პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალი/მეორე ხარისხის საავტომობილო გზების, სასოფლო და შიდაკვარტალური გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის აუცილებლობა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე შეადგენს 420 კილომეტრს ასფალტო/ბეტონის საფარით დღეის მდგომარეობით დაფარულია 160 კილომეტრი. მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 30 პროცენტის მშენებლობა-რეაბილიტაციას.</p>

**ხარჯთაღრიცხვა დონისძიებების მიხედვით**

№	დასახელება	გრძობი მეტრი	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება (ლარი)
1	ითხვისში მეგრელიშვილების უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	210	185.95	39049
2	კაცხში ხვადაბუნის უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	320	129.78	41529
3	ზედუბანი კეკნაძეების საუბნო გზის მოწყობის სამუშაოები	270	156.32	42206
4	ბერეთისაში გლახინების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	300	155.53	46658
5	ქვედა ბერეთისაში ქვედა კვიციანიძეების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	340	128.56	43710
6	ქვედა ჭალოვანში ზედა მაჭარაშვილების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	260	132.82	34534
7	თაბაგრებში ახალი დასახლების საუბნო გზის მოწყობის სამუშაოები	210	201.23	42258
8	კვახაჯელეთის საუბნო გზის მოწყობის სამუშაოები	230	130.43	30000
9	წირქვალში მიროტაძეები უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	350	130.07	45523
10	წირქვალში ხიჭუების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	980	140.89	138073
11	სოფელ სვერში ხოსიკიშვილების უბანში (ჭის ბეგი; დაბლა უბანი;სასაფლაოს გზაზე) ბეტონის საფარის მოწყობა	260	130.50	33929
12	სოფელ პერევისაში ჩაჩანიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	260	158.68	41258
13	სოფელ ითხვისში კობერიძეები-დვალაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	220	132.09	29059
14	სოფელ ბუჩინეში დვალაშვილები-აბდუშელიშვილების უბანში გზაზე ბეტონის	240	156.97	37672



	საფარის მოწყობა			
15	სოფელ წირქვალში სკოლის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	190	131.11	24911
16	სოფელ ხალიფაურში მასხარაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	160	133.90	21424
17	სოფელ ხალიფაურში გიგილიშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	160	129.37	20699
18	სოფელ ხალიფაურში სკოლის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	150	153.45	23017
19	სოფელ ქვედა ჭალოვანში ქვედა მაჭარაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	150	134.31	20147
20	სოფელ ქვედა ჭალოვანში ხვედელიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	170	130.88	22249
21	სოფელ საკურწეში ბიწაძეები, უნდიაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	230	202.26	46520
22	სოფელ საკურწეში მოდებაძეების (უნაგრა) უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	220	159.36	35059
23	სოფელ ქვაციხეში ხვედელიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	120	157.49	18899
24	სოფელ რცხილათში ჩელტივაკის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	210	169.60	35615
25	სოფელ რცხილაში ჩავიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	240	157.57	37816
26	სოფელ რცხილათში გოგსაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	200	157.79	31558
27	სოფელ ნავარძეთში ბარათაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	290	129.96	37688
28	სოფელ სალიეთში საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	180	128.99	23218
29	სოფელ მოხოროთუბანი აზნარაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	240	178.68	42884
30	სოფელ ცხრუკვეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	260	129.83	33757
31	სოფელ ცხრუკვეთში ფხალაძეები-ჭარელიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	220	158.56	34883
32	სოფელ ცხრუკვეთში სერის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	260	131.09	34084
33	სოფელ სვერში მაქიზეთის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	240	130.92	31420
34	სოფელ სვერში ტრიბუჩების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	310	132.30	41014
35	სოფელ ზოდში იობაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	200	152.20	30439
36	სოფელ მოხოროთუბანი გაბრიჭიძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	150	176.77	26516
37	სოფელ თვალუეთში პაატაშვილები მადოურის უბნების დამაკავშირებელი გზის მოწყობა	600	173.32	103992
38	სოფელი ითხვისი მეგრელიშვილები-ბეგიაურის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1220	195.64	238675
39	სოფელი ქვაციხე ჩუბინიძეების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	820	252.23	206831
40	სოფელ თვალუეთში ლევანაშვილების უბნის გადასახვევიდან და პაატაშვილები ურიშიშვილების უბნების დამაკავშირებელი საუბნო გზის მოწყობა	550	174.99	96247
41	სოფელ სკინდორის ცენტრალური გზის მოწყობა	590	189.67	111908



42	სოფელ ცხრუკვეთში შუაკუთხის უბანში გზის მოწყობა	490	160.79	78785
43	სოფელ ნიგოზეთში კუპატაძეები ცხოვრებადების უბანში არსებული საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	430	222.79	95799
44	სოფელ თაბაგრებში კენჭოშვილების საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	460	232.35	106879
45	სოფელ ცხრუკვეთში ფხალაძეები ჭარელიძეების უბანში სასაფლაოსკენ მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	520	190.35	98982
46	მერევი ეკლესია სკოლის საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	490	161.24	79009
47	სოფელ წირქვალში გურულების უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	520	162.97	84745
48	სოფელ თაბაგრებში სკოლისა და ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	380	191.78	72877
49	სოფელ ზოდი წირქვალის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	320	207.27	66325
50	საინჟინრო მონიტორინგის თანხა		150000.00	374.521
51	თანადაფინანსება რგვ		317295	250000
52	სოფელ მღვიმევის გადასახვევიდან სოფლის ცენტრამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			292676
53	სოფელ მოხორთუბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			300000
54	სოფელ მერევი ნიგოზეთის (ბირთველიშვილები-წერეთლების უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			300000
55	კაცხის გადასახვევიდან სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			126906
56	სოფელ მღვიმევის ე.წ.27-ის ასახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			591794
57	სოფელ ითხვისის მარაროდან სოფელ ითხვისის ახალ დასახლებამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			533444
58	სოფელ ნიგოზეთის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			178529
59	სოფელ კალაურის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			285565
60	სოფელ ითხვისში კაპანაძეების უბნის ჩასახვევიდან ხახიშვილების უბანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია(სახ. ბიუჯეტი)			258491
61	სოფელ რცხილათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			820420
62	ტყემლოვანა ჩხირაულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (სახ. ბიუჯეტი)			451594
63	სოფელ მღვიმევის გზის რეაბილიტაცია			284661
64	გზების პროექტირება 2019 წელში გაფორმებული ხელშეკრულებები			130845
65	გზების რეაბილიტაციის შესრულებული სამუშაოების საგარანტიო თანხები 2.5%			54611
66	ავარიონის გზის რეაბილიტაცია			604930
67	სოფელ მანდაეთში გელაშვილების,ციციძეების,ზედვაკის უბნის და ძველ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები			146280



68	სოფელ წინსოფელში კოროხის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები			95527
69	სოფელ ბერეთისაში გაჩეჩილაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები			208095
70	სოფელ ზოდი-ზედუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსება			21804
71	სოფელ ხრეთიში დაბლა მიხელიძეების უბანში გზის მობეტონება			44608
72	სოფელ ხრეთიში სპარიეთის უბანში გზის მობეტონება			79620
73	სოფელ ზოდში სამხარაძე- ბარათაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია			162136
74	სოფელ ითხვისში ჩინჩალაძეების უბანში გზის მობეტონება			62507
75	სოფელ წასრში სკოლიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია			285008
76	სოფელ წასრში ვაშაძეების უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები			64281
77	სოფელ ითხვისში მახათაძეები-გოგატიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია			92200
78	სოფელ ხრეთიში არჩვაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია			46591
79	სოფელ ხრეთიში ლოლაძეები ტაბატაძეების გზის რეაბილიტაცია			43014
80	სოფელ მღვიმეში მონასტრის თავზე გზის რეაბილიტაცია			76940
81	სოფელ ქვედა ჭალოვანში მიქაუტიძეების უბნის რეაბილიტაცია			137117
	<b>საპროექტო სამუშაოები</b>			
	სოფელ უსახელოში ფხალაძეების მოსაცდელიდან ცერცვაძეების უბანამდე 3000 გრძელ მეტრი გზის რეაბილიტაციის პროექტირება, სოფელ უსახელოში მთავარანგელოზის ეკლესიამდე მისასვლელი 1000 გრძელ მეტრი გზების (მაჭავარიანების და ტალახაძეების უბნიდან ) მობეტონების სამუშაოების პროექტირება, ჭალის უბანში ორ მონაკვეთზე 100 გრძელ მეტრი გზის მობეტონების სამუშაოების პროექტირება, ნიგოზეთში ტატუნიშვილების უბნის 1300 გრძელ მეტრი გზის პროექტირება, იაშვილისა და თხელიძის ქუჩის შიდა გზებისა და ეზოების საპროექტო სამუშაოები, ჭავჭავაძის ქუჩის გზის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, ტაბიძის ქუჩის შიდა გზების, ტროტუარებისა და ეზოების მოწყობის საპროექტო სამუშაოები, ჭიათურაში კინოს მიმდებარე გზისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები, წერეთლის ქუჩის შიდა გზისა და ეზოს კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ბუჩინეში საუბნო გზის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 1000მეტრი), სოფელ ითხვისში მახათაძეები გოგატიშვილების უბნის გზის პროექტირება (დაახლოებით 120მეტრი), სოფელ ხრეთიში იუსტიციის სახლამდე მისასვლელი გზის (300 მეტრამდე) რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, სოფელ წასრში ჯალაურთის დამაკავშირებელი გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ რგანში ქვეშელების უბანში გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ უსახელოში ციციქიშვილების უბნის გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ზოდში სამხარაძეების უბნის მოხორთუბნის, ახალი დასახლების გზის საპროექტო სამუშაოები 250 მეტრი, სოფელ საკურწეში მამიაშვილების, გოსტიაშვილებისა და სარალიძეების უბნის გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ითხვისში ნადირაძეების უბანში მეტრი გზის საპროექტო სამუშაოები 250 მეტრი, სოფელ ნიგოზეთში ლაბაძეების უბანში გზის საპროექტო სამუშაოები დაახლოებით 900მეტრი), ლაბაძეები კუპატაძეების დამაკავშირებელი გზის საპროექტო სამუშაოები 1200 გრძ. მეტრის გზის საპროექტო სამუშაოები, მეტრისოფელ ითხვისში ბეგიაური -ფარქოსაძეების უბანში გზის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 400 მეტრი), სოფელ შუქრეთში ცენტრალური საავტომობილო გზიდან ნოზაძეები-ნეფარიძეების უბანში მისასვლელი გზის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 180 მეტრი), სოფელ სალიეთში მოდებაძე რაულის სახლთან გზის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 170 მეტრი), სოფელ მორძვეთში ღვალაძეების უბნის გზის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 250 მეტრი), სოფელ მორძვეთში სერზე მიმავალი აღმართის გზის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 180 მეტრი), სოფელ ხრეთიში ჯაფარიძეების სახლმუხეუმებამდე მისასვლელი გზის საპროექტო სამუშაოები (დაახლოებით 500 მეტრი), სოფელ ეწერში კუპატაძეების			



უბანში გზის 400 გრძ. მეტრი გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ რგანში გველესიანების უბანში გზის 400 გრძ. მეტრი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ხრეთში კაკრიაშვილები – ალიხანაშვილების უბანში 500 გრძ. მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ხრეთში სამაკაშვილების უბანში 600 გრძ. მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ნიგოზეთი-კოპიტების დამაკავშირებელი გზის გაგრძელების (ეკლესიიდან სოფლის ბოლომდე) 700 გრძ. მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ითხვისში მახათაძეები, დვალაშვილები კობერიძეების უბანში დამაკავშირებელი გზის დაახლოებით 800 გრძ. მეტრი მობეტონების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ჩხირაულში (პატარა ჩხირაულში) ცენტრალური საავტომობილო გზის 2კმ-მდე რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება 7კმ-მდე, სოფელ ნიგოზეთში საბავშვო ბაღიდან ჩახტიების უბანამდე მისასვლელი გზის 1300 გრძ. მეტრი საპროექტო სამუშაოები, აღმაშენებლის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ტოლსტოის ქუჩაზე გზისა და შიდა ეზოების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ქვავიხეში საკალმახესთან მისასვლელი გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ საკურწეში ჩაიებთან მისასვლელი გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ზედუბანში ჭალის უბანში მისასვლელი გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ უსახელოში სამეს უბნიდან დარბაზამდე მისასვლელი გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ უსახელოში ფხალაძეების მოსაცდელიდან ცერცვაძეების უბანამდე გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები, კოროხნალის მონაკვეთის გადასახვევიდან №-25-ის მადაროს დასახლებაში სკვერის მიმდებარე ტერიტორიამდე მისასვლელი გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ წირქვალში საუბნო გზის და სანიადვრე ანაკრები არხის მოწყობა ნუგზარ და გოჩა მიროტაძეების სახლის მიმდებარედ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ დარკვეთიდან სოფელ მოხოროთუბნისკენ მიმავალი 750მ გზის ასფალტო ბეტონის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ სვერში კოჩიების უბნის მიერთება ოქროპირების უბანთან დაახლოებით 150 გრძივი მეტრის გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ წირქვალში მიროტაძეების უბნის 200 გრძ მტ გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ ზოდში სამხარაძეების უბანში (ჯაბა ყაველაშვილის სახლის მიმდებარედ) 60 გრძ. მტ გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. გურბანიძეებიდან სოფელ ვაკევისამდე 5200 გმ. მტ. გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ მანდაეთში ივანაშვილების -კოხიების შემაერთებელი გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ნიკოპოლის ქუჩაზე გზისა და ტროტუარის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. 32-ის დასახლების ითხვისის მადაროდან დარბაძეების ბოლომდე 2000 გრძ. მტ. გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ ცხრუკვეთის კოჭრების 250 გრძ. მტ საუბნო გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ შუქრუთის ზოსიმაურის ეკლესიისკენ ასასვლელი 250 გრძ. მტ. გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სოფელ შუქრუთში კოროხნალიდან ახალ დასახლებამდე 2000 გრძ. მტ. მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ ზოდში გლახუნას წყაროდან ბოყოველების უბანში 500 გრძ. მეტრი გზის საფარის მოწყობის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ქვედა ჭალვანში სასაფლაოსთან მისასვლელი 70 გრძ. მეტრი გზის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, სოფელ თვალუეთში კოდიწყლის უბნის 300გრძ. მეტრი გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერში სასაფლაოსკენ მისასვლელი 350 გრძ. მეტრი გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერში ტრინიჭიბიდან ოქროპირებამდე მისასვლელი 130 გრძ. მეტრი გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერში გვალაზაურის 150 გრძ მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერში ოთაშვილების 300 გრძ მეტრი საუბნო გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერში ოქროპირების უბნიდან ხოსიკაშვილების უბნის შემაერთებელი 300 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერში მაქიზეთის უბანში მუმლაძეების სახლიდან კაკლების წყარომდე 500 გრძივი მეტრი გზის საპროექტო სამუშაოები, სოფელ ზედა ბერეთისაში ტაბატაძეების საუბნო 1000 გრძ. მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ კაცხში მარკოზაშვილების უბანში 600 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ კაცხში ხვადაბუნის უბანში 200 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ქვედა ჭალვანში წიწილაშვილების უბანში 300 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო, სოფელი ვაჭევი ხერგულის უბანში 1500 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ მელუშეთში დაბლა უბანში 600 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ღვითორში მასიშვილების უბანში 300 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ზედა ბერეთისაში ცენტრალური გმიდან, გრიგალაშვილების წყაროდან ტაბატაძეების წყარომდე 1300 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ გუნდაეთში ომარ აბრამიშვილის სახლიდან ზურა მაჩსაიძის სახლამდე 1000 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ნავბარძეთში მარკა ბარათაშვილის სახლიდან



	<p>წყალსადენისკენ მიმავალი 700 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ნავარძეთში (რგანი)ქეშეელების უბანში 500 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ნიგოზეთში ომიამ-ლაბაძეების 600 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ სვერის საჯარო სკოლის ასახვევიდან წერეთლების უბანში 500 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ნავარძეთში კაპანაძეების უბანში ქუჩა №13-ში 300 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ნავარძეთში ბერიშვილების უბანში 150 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ საკურწეში ბედინაშვილების უბანში 1000 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ქვაციხეში ცხოვრებაძეების უბანში 500 გრძივი მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები, სოფელ ზოდში ბოჭორიშვილების უბანში 150 გრძ. მეტრი გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები.</p>			
<b>სულ ჯამი</b>				10266.788

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა</b>	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
<b>02 01 04</b>			<b>55.017</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოაჯირის მოწყობის საპროექტო სამუშაოები რკინიგზის გასწვრივ, მშენებლობის ტრესტის მხრიდან, გვირაბის მიმდებარედ და ჭიათურაში მდინარე ყვირილაზე ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოაჯირის რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოები, ბარათაშვილის ქ.№16-ის მიმდებარედ მოაჯირის მოწყობის სამუშაოები, ერისთავის ქუჩის შესასვლელიდან თავისუფლების ქუჩამდე მოაჯირის მოწყობის სამუშაოები, ლითონის მოაჯირის მოწყობა ერისთავის ქუჩიდან მშრალ ხიდამდე და ერისთავის ქ.№2-ის საცხოვრებელ სახლამდე; თავისუფლებისა და აღმაშენებლის ქუჩებს შორის ასასვლელი გზის არსებულ საყრდენ კედელზე ლითონის მოაჯირის მოწყობა; ტყაბლადის ქუჩაზე მოაჯირის მოწყობა; ქუთაისის ქუჩაზე მოაჯირის მოწყობა ემზარი შევილაძის სახლის მიმდებარედ; ჩაჩანიძის ქ.№46-ის მიმდებარედ არსებულ საყრდენ კედელზე მოაჯირის მოწყობა; ვაჩნაძის ქუჩაზე სამანქანო ხიდის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საყრდენი კედლების აღდგენა, მშენებლობა</b>	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
<b>02 01 05</b>			<b>572.041</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება (გაფორმებულია ხელშეკრულება) ქ.ჭიათურაში ნინოშვილის ქ.№16-ის უკან არსებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ტრესტის ხიდიდან ე/წ საგუბრამდე (პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კინოს მიმდებარედ არსებული საცალფეხო ხიდიდან საგუბრამდე მდინარის კალაპოტის საყრდენი კედლის რეაბილიტაციას და სანაპირო ზოლის მოწყობას); საყრდენი კედლის მოწყობა საბჭოს ქ.№13-დომიტრი ბიწაძის სახლთან; საბჭოს ქ.№5-თამაზ ფხალაძის სახლთან; საბჭოს ქ.№24-თან; საბჭოს ქ.№5 - რამაზ ფხალაძის სახლთან; საბჭოს ქ.№9-ნუნუ თაბაგარის სახლთან; ერისთავის ქ.№23-ლია მუმლაძის სახლთან; ერისთავის ქ.№29-დავით გაფრინდაშვილის სახლთან; ერისთავის ქ.№11-13-ლია საღირაშვილის სახლთან; ერისთავის ქუჩაზე მართმადიდებლური სკოლის მიმდებარედ; ერისთავის ქ.№35-ის მიმდებარედ; ერისთავის ქ.№31-წყაროსთან; ერისთავის ქ.№18-რამაზ ციციძის სახლთან; ერისთავის III-შეს №15-დან №29-მდე; ერისთავის III-შეს №2-ნანა ხვედელიძის სახლთან; ერისთავის III-შეს №4-იასონ ფხალაძის სახლთან; ჩაჩანიძის ქ.№4-უსინათლოების სახლთან; ჩაჩანიძის ქ.№27-ნუგზარ გამყრელიძის სახლთან; ჩაჩანიძის ქ.№44-არჩილ გოცაძის სახლთან; 9 აპრილის ქ.№86 -ინეზა ყიფშიძის სახლთან; 9აპრილის ქ.№96-რუსუდანი სხირტლაძის სახლთან; ქუთაისის ქ.№7-თან; ქუთაისის ქ.№54-სიმონ კვიციანიძის სახლთან; ქუთაისის ქ.№54-თან; ქუთაისის ქ. I შეს.№7-როსტომ ტაბატაძის სახლთან; ქუთაისის ქ.№3-მაია ცუხიშვილის სახლთან; აბაშიძის ქ.№16-თან; ცხოვრებაძის ქ.№14-შმაგი ბიწაძის სახლთან; ცხოვრებაძის ქ.№58-ზაზა ცერცვაძის სახლთან; კოსტავას ქ.№10-დავით ხვედელიძის სახლთან; კოსტავას ქ.№5-ჯანრი ცერცვაძის სახლთან; კოსტავას I შეს №5-დალი ლულუნიშვილის სახლთან; სავადმყოფოს ეზოს არსებულ პროექტზე საყრდენი კედლის გაგრძელება; აღმაშენებლის ქ.№241-ციური ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№56-მედეა ლულუნიშვილის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№249-ამალია ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№22-გიორგი ლომიძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№113-თან; აღმაშენებლის ქ.№48-ნიკოლოზ მეგრელიშვილის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№119-გიორგი შავაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№190-გიორგი ასანიძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№87 - ალიკა ბიწაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№202-მზია ბუღაძის სახლთან; აღმაშენებლის ქ.№58 -თან; აღმაშენებლის ქ.№83-ალიკა ბიწაძის (ნონა ბიწაძე) სახლთან; ბათუმის ქ.№3 - ეკლესიასთან; წმინდა გიორგის ქ.№42-მგალობლიშვილის სახლთან; წმინდა გიორგის ქ. მოღებაძის სახლთან; წმინდა გიორგის ქ.№26-გიორგი მუმლაძის სახლთან; წმინდა გიორგის ქ.№34-ხვიჩა მოღებაძის სახლთან; ჩაჩანიძის ქ.№4 -ხვიჩა მოღებაძის სახლთან; თბილისის ქ.№21 III ჩიხი-დიანა კირვალიძის სახლთან; თბილისის ქ.ნანა ნადირაძის სახლთან;</p>		



პროგრამის აღწერა და მიზანი

